

შპს „მარკო“-ს

(404499477)

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქ. თბილისი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია საწარმოს შესახებ



შპს „მარკო“ (ს/ნ 404499477) რეგისტრირებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად ქ.თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 22015 წლის 18 აგვისტოს . საწარმოს იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ #7.

საწარმოს დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია ზაზა მარკოშაშვილი (01030027498)

ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტვირთების დატვირთვა განტვირთის მომსახურება.

საქმიანობის არეალს წარმოადგენს: საქართველოს ტერიტორია

2. მომზადების საფუძველი

2.1 შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2.2 ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე, ასევე ითვალისწინებს ფინანსურ მაჩვენებლებსა და სხვა ძირითად ფაქტორებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების ადეკვატურობის შეფასებისას. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ საწარმო მომავალში დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას საქმიანობის პროცესში.

2.3 ფუნქციონალური და საპრეზენტაციო ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რიცხვები დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე ლარში.

3. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა

3.1 აღრიცხვის საფუძველები

სააღრიცხვო პოლიტიკა ემყარება და მისი შემუშავებისას გამოყენებულია კანონი „მეწარმეთა შესახებ“ და კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ, მსს ფასს სტანდარტები, საგადასახადო და ფინანსური აღრიცხვის განსხვავებები. საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ანგარიშთა გეგმიდან დადგენილი სტრუქტურის შესაბამისად, ჯგუფისა და განყოფილების დაცვით ელექტრონულად



საბუღალტრო პროგრამა „ორისში“. საწარმო მიეკუთვნება მე-3 კატეგორიას და ყველა პროცედურა ხორციელდება წაყენებული მოთხოვნებისა და აღრიცხვის ისეთი პოლიტიკით, რომ შესაბამისობაში მოდიოდეს ანგარიშგებასთან.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული (პირვანდელი) ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას. საწარმო აქტივებს და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი ციკლის განმავლობაში.
- მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში.
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ საოპერაციო რეჟიმში.
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის გადავადების უპირობო უფლება

ყველა დანარჩენ ვალდებულებას საწარმო გრძელვადიან კატეგორიას ეკუთვნის.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - "სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)".



უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

ვალუტა	31 დეკ 2022	31 დეკ 2021	31 დეკ 2020
1 USD/GEL	2.7020	3.0976	3.2766
1 EUR/GEL	2,8844	3,5040	4.0233

3.2 შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

ყველა შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოღინება საწარმოში, ან შესაბამისად გადინება.

შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად გადახდის დროის მიუხედავად. შემოსავლების შეფასება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის გათვალისწინებით და გადასახადების გამოკლებით.

შემოსავლების აღიარება მათი სახეობების მიხედვით ხორციელდება შემდეგნაირად:
შემოსავალი მომსახურებიდან

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ჩაბარებული.

3.3 იჯარა

ბასს 17-ის მიხედვით, როდესაც საწარმოს აქვს საიჯარო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა სარგებელი და რისკი გადაეცემა მოიჯარეს, მაშინ გარიგება ითვლება ფინანსურ იჯარად, სხვა შემთხვევაში - საოპერაციო იჯარად. საწარმოს საიჯარო ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე გარიგებები კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად. შესაბამისად, საწარმოს იჯარით აღებულ ქონებაზე გადასახდელები აღიარებულია ხარჯად, ხოლო ქვეიჯარიან მიღებული შემოსავლები - შემოსავალში შესაბამისი წლის მოგება-ზარალში.

3.4 ძირითადი საშუალებები

3.5

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება ფასდება მათი შესყიდვის ფაქტობრივ ხარჯზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს შესყიდვის ფასს, შესყიდვის არაანაზღაურებად გადასახადს და ნებისმიერ პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით დაგროვილი



ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვეთა

ფასს-ის მიზნებისთვის ცვეთის აღიარება მოგება-ზარალში ხდება ცვეთის დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით (წრფივი მეთოდით), რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მისაღები სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისება. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოყენებისთვის და ერიცხება სარგებლობაში არსებული ვადის პროპორციულად. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განსაზღვრულია:

1. ავტომატური სასაწყობო 5 წელი
2. საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი 5 წელი

აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა გადაიხედება ყოველწლიურად და დაკორექტირდება საჭიროებისამებრ.

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლობის მიღება არაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი გამოითვლება, როგორც სხვაობა გასხვისებიდან მიღებულ (მისაღებ) წმინდა შემოსულობისა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება მოგება-ზარალში.

3.6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები განისაზღვრება მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო ვადის მიხედვით.

3.7 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

კომპანიაში მარაგების არსებობის შემთხვევაში შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.



მარაგების ჩამოწერა ზორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

3.8 ფინანსური ინსტრუმენტები

საწარმო ფინანსური ინსტრუმენტებს აღრიცხავს ბასს 39-ის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტი შესახებ ხელშეკრულების მონაწილე.

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმო აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური ნიშნების არსებობას. ფინანსური აქტივი გაუფასურებლად განიხილება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური ნიშნები ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“), და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მოსალოდნელ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნო შეფასებაც შესაძლებელია. გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მევალე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს შესაბამისი თანხის გადახდის ვადას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა.



საწარმო ჯგუფიდან აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას. აქტივების საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საშუალებით, ხოლო ზარალის თანხის აღიარება ხდება მოგება-ზარალში.

3.9 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშების თარიღებისათვის საწარმო აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთის შემთხვევაში საწარმო განსაზღვრავს აქტივის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივების დაჯგუფება ხდება ინდივიდუალურად და როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებლად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

3.10 შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურება წარმოებს დროითი სისტემით შრომითი კანონმდებლობისა და საწარმოს მიერ დადგენილი საშტატო განაკვეთების შესაბამისად, სანარდო ანაზღაურება.

დირექტორზე /ხელმძღვანელზე გაცემული ანაზღაურება:

2021 წ-149424 ლარი

2021 წ-147547 ლარი

3.11 კაპიტალი

საწარმოს საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით. ცვლილებები წესდებაში (მათ შორის საწესდებო კაპიტალში) ხორციელდება საწარმოს დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. საწარმოს საკუთარი კაპიტალი მოიცავს გაუნაწილებელ მოგებას.

საწარმოს ზომითი კატეგორიის გამოთვლისას მითითებული შემოსავალი მოიცავს, როგორც საოპერაციო ასევე არასაოპერაციო შემოსავალსაც.

4. შემოსავალი:

დასახელება	2021 წელი
შემოსავალი	3353496
მომსახურებიდან	3353496
სხვა	0

5. რეალიზაციის თვითღირებულება

დასახელება	2022 წელი
------------	-----------



შესრულებული სამუშაოს/საქონლის თვითღირებულება	2415622
--	---------

6. სხვა საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავალი

დასახელება	2022 წელი
საგადასახადო შეღავათი (კოვიდ-19)	0
შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	00
სხვა	00

7. ადმინისტრაციული, საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯები

დასახელება	2022 წელი
არაპირდაპირი ხელფასი	0
სპეცტანსაცმელი და უნიფორმა	34755
საპენსიო ფონდი	28044
დასაქმებულთა კვების ხარჯი	75292
კომუნიკაციის ხარჯები	2672
სხვა საერთო (ბანკის საკომისიო)	1898
საკანცელარიო	642
საწვავის ხარჯი	22585
სხვადასხვა/საგადასახადო	305
დაზღვევის ხარჯი	86980
რემონტი	7568
იჯარა	2750
ცვეთა	4892
ავტომობილის ექსპ ხარჯი	6134
სხვა არასაოპერაციო ხარჯი(ბიუჯეტის გადასახადები კვებაზე და სამედიცინო შემოწმების ხარჯი)	41275
განსაკუთრებული ხარჯი (გადასახდელები ფ/პირის ა/მ-ს იჯარაზე)	3000

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

8. მოგების გადასახადის აღრიცხვა

მოგების გადასახადი გაიანგარიშება 2017 წლიდან ესტონური მოდელის ახალი კანონით, საგადასახადო კოდექსის 98-ე პრიმა მუხლით. საწარმო საკუთარ ფინანსურ



ანგარიშგებაში აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

სრულად მონაწილეობის შემთხვევაში:

დასახელება	2022წელი
დარიცხული მოგების გადასახადი	79687

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, დარიცხული ფინანსური მოგების გადასახადის გადახდა ზორციელდება დივიდენდების გაცემისას, ხოლო სხვა დანარჩენ ოპერაციებზე დარიცხული „მოგების გადასახადი“ აღირიცხება როგორც „სხვა საგადასახადო ხარჯი“

9. ფულადი სახსრების აღრიცხვა

საწარმოში ოპერაციები ზორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

#	საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	01.01.2022
1	ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	92255
	მყიდველებიდან მიღებული ფულადი სახსრები (+)	3871994
	მომწოდებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები (-)	(2155383)
	გადახდილი დივიდენდი(-)	(428980)
	გადახდილი გადასახადები (-)	(1256910)
	გაუთვალისწინებელი შემოსავალი (+)	0
	გაუთვალისწინებელი ხარჯი (-)	0
	სესხი (+)	
	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან (+)	30721
1	საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	()
2	ძირითადი საშუალებების შეძენაზე (-)	(0)
3	ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული სარგებელი (+)	



4	მიღებული პროცენტები (+)	0
5	გადახდილი პროცენტები (-)	(0)
6	მიღებული დივიდენდი (+)	0
7	წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან (+)	(0)
1	საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	
2	შემოსულობანი აქციათა ემისიის შედეგად (+)	
3	შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან (+)	
4	ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა განაღდება (-)	
5	გადახდილი დივიდენდი (-)	
6	სესხის დაფარვა (-)	(0)
7	წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან (-)	(0)
	ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს 31,12,2021	122975
	ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	30721

10. ანგარიში საკუთარი კაპიტალის მოძრაობის შესახებ 2022 წ

საჩვენებლები	კოდი სტრიქონი	ნაშთი წლის დასაწყისში	შემოსულია წლის განმავლობაში	სხვა ცვლ გაუნაწ მოგებაში	დანარჩულია წლის განმავლობაში	ნაშთი წლის ბოლოს
საწესდებო კაპიტალი	010					
სარეზერვო კაპიტალი	020					
სხვა რეზერვები და მიზნობრივი დაფინანსება	030					
გაუნაწილებელი მოგება	040	39630	613975	0	531245	122360
დაუფარავი ზარალი	050					



სულ კაპიტალი (სტრ. 010+020+030+040-050)	საკუთარი	060	39360	613975	0	531245	122360
--	----------	-----	-------	--------	---	--------	--------

11. დივიდენდის განაწილება

დივიდენდი აღიარებულია ვალდებულებად მისი დეკლარირების მომენტში, როგორც წესი და გაცემა ხდება პერიოდულად, საანგარიშო პერიოდში შეადგენს -451558 ლარს.

12. ძირითადი საშუალებები

	მანქან ა დანად ბ	ოფისის აღჭურვ	ავტოსატრ საშ	პროგრამა ორისი	სულ
					0
31.12.2020	628	11870	30438	688	43624
გასვლა					
სხვა					0
მიღება		3127			3127
ცვეთა	107	2300	4040	72	6519
31.12.2021	521	12697	26398	616	40232
გასვლა			15106		15106
მიღება		517			517
სხვა					0
ცვეთა	87	2274	2468	62	4892
31.12.2022	434	10940	8823	554	20751

ფინანსური მდგომარეობა

	31/12/202 2	31/12/202 1	31/12/202 0
ფინანსური მდგომარეობა			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	122975	92254	42657



სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	216235	120651	150062
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	3787	203	2243
მარაგები	0	0	0
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	0	0	0
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	554	616	687
ძირითადი საშუალებები	20196	39616	42936
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	363747	253340	238585
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	18878	18178	2290
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	89276	61990	66019
საგადასახადო ვალდებულებები	133113	133542	69070
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	120	0	0
სულ ვალდებულებები	241387	213710	137379
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	122360	39630	101206
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	122360	39630	101206
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	363747	253340	238585
სულ მოკლევადიანი აქტივები	363747	253340	238585
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	241387	213710	137379



საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	3353496	2767252
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	3353496	2767252
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-2415622	-2333254
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	937874	433998
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	36344
დასაქმებულთა ანაზღაურება		
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-4892	-6519
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	-2750	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-266875	-243791
სულ საოპერაციო ხარჯები	-274517	-213966
საოპერაციო მოგება	663357	220032
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-49382	-31644
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	613975	188388
მოგების გადასახადის ხარჯი	-79687	-37672
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	534288	150716
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური	0	



აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	534288	150716
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	39630	101206
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-451558	-213474
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	1182
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	122360	39630

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	3871994	3295788
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-3841273	-3246191
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	30721	49597
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	92254	42657
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	122975	92254

ფუნქციონირებადობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

ბალანსის შემდგომი მოვლენები



საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა განმარტება ფინანსურ ანგარიშგებაში საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

შპს „მარკოს“-ს დირექტორი



ზაზა მარკოზაშვილი